



## საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

---

### „თანამედროვე მედიცინა“

„თანამედროვე მედიცინა“, ქართული სამედიცინო სამეცნიერო ჟურნალი, რ-საც 1924-იდან გამოსცემდა თსუ-ის სამედ. ფაკტის უმც. მასწავლებელთა კოლეგიუმი (სარედაქციო კოლეგია: შ. მიქელაძე, პ. ქავთარაძე, მ. მგალობლიშვილი, ზ. მაისურაძე, ნ. ყიფშიძე). ჟურნალში ქვეყნდებოდა სტატიები თეორ. და პრაქტ. მედ. საკითხებზე; მიმოხილვები, კორესპონდენციები, რეფერატები, ბიბლიოგრაფიები; სამედ.სამეცნ. საზოგადოებათა სამეცნ. კონფერენციებისა და ექსპედიციების საქმიანობის ანგარიშები და ქრონიკები. ჟურნალთან თანამშრომლობდნენ თბილ. სახელმწ. უნტ-ის სამედიცინო ფაკტ-ის პროფესორები, ასისტენტები, ორდინატორები, თბილისსა და პერიფერიებში მომუშავე პრაქტიკოსი ექიმები. 1929-იდან ჟურნალს გამოსცემდა უნტ-ის სამედ. ფაკტი, ხოლო 1931-იდან ჟურნალი სამედ. ინტ-ის ორგანო გახდა. სხვადასხვა დროს რედაქციის შემადგენელი პროფესორები: ა. ნათიშვილი, ვ. ჟღენტი, შ. მიქელაძე. 1934-მდე გამოვიდა „თ. მის“ 66 ნომერი, შემდეგ კი ფუნქციონირება შეწყვიტა. 2007-იდან ფარმაცევტული კომპანია „ჯიპისის“ ხელშეწყობით განახლდა ახ. ქართ. სამედ.პრაქტ. ჟურნ. „თანამედროვე მედიცინის“ გამოცემა (მთ. რედაქტორი დ. ჯიქია). 2010-იდან ჟურნალის ბეჭდური ვერსიის გამოცემა. 2010 წლის 23 თებერვალს დაარსდა ჟურნალის საიტი ([www. modernpublishing.ge](http://www.modernpublishing.ge)), სადაც განთავსდა ჟურნალის ყველა ნომრის ელექტრონული ვერსია (სულ 16 ნომერი).

---